

აშშ–ს მეცნიერები: 12 დეკემბერს დედამიწას ასტეროიდი Sitric977 შეეჯახება



აშშ–ს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მეცნიერებმა გაასაჯაროვეს ინფორმაცია, რომლის თანახმად 12 დეკემბერს დედამიწას ასტეროიდი Sitric977 შეეჯახება.

წინასწარი გათვრებით, ციური სხეული წყნარ ოკეანეში ჩავარდება. ასტეროიდის ფართობი 500 კვადრატულ მეტრს აღემატება, რაც იმის ვარაუდს ბადებს, რომ ის ატმოსფეროში შესვლისთანავე “დაიწვება”. თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ შემცირებული ზომით ასტეროიდი მაინც მიაღწევს დედამიწის ზედაპირს.

აღსანიშნავია, რომ NASA–ში ასტეროიდ Sitric977–ის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებენ და არც უარყოფენ. ზოგიერთი ასტრონომის ვარაუდით, თუ ასტეროიდი დედამიწაზე არ დაეცემა, ჩვენ პლანეტას ციური სხეულთა შეჯახება მაინც არ ასცდება – Sitric977 –ის გარდა დედამიწისკენ ე.წ. “ასტეროიდების სარტყელი” მოემართება.

versiya.info